საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N44 2024 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანების მრავალწლიანი შესყიდვისათვის გამოცხადდა კონსოლიდირებული ტენდერი;

გ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღნიშნული ტენდერის შედეგად, ერთი ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება განისაზღვრა: 10 $მ^3$ მოცულობის ნაგავმზიდი (4*2-ზე თვლების ფორმულით) 344 500 ლარის, 16 $მ^3$ მოცულობის ნაგავმზიდი (4*2-ზე თვლების ფორმულით) 396 180 ლარის, 10 $მ^3$ მოცულობის ნაგავმზიდი (4*4-ზე თვლების ფორმულით) 430 630 ლარისა და 16 $მ^3$ მოცულობის ნაგავმზიდი (4*4-ზე თვლების ფორმულით) 500 390 ლარის ოდენობით. ტენდერის პირობების შესაბამისად, 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს

სრული ღირებულების 40%-ს, ხოლო 2024 წელს – სრული ღირებულების 60%-ს;

გ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით 26 მუნიციპალიტეტისათვის 32 ერთეული ნაგავმზიდის შესასყიდად თანხის გამოყოფის თაობაზე, მათ შორის, 2023 წელს – 5 293 636 ლარი და 2024 წელს – 7 940 454 ლარი;

დ) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის №1640 განკარგულებით 26 მუნიციპალიტეტს ტენდერის პირობების შესაბამისად 2023 წელს გამოეყო 5 293 636 ლარი.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ნაგავმზიდი მანქანების შესყიდვისათვის სრული ღირებულების ფარგლებში 2024 წელს ასანაზღაურებელი თანხის დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 7 940 454 (შვიდი მილიონ ცხრაას ორმოცი ათას ოთხას ორმოცდათოთხმეტი) ლარი, მათ შორის:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 468 (ექვსასი ათას ოთხას სამოცდარვა) ლარისა;

ბ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 516 756 (ხუთას თექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტი) ლარისა;

გ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 506 934 (ხუთას ექვსი ათას ცხრაას ოცდათოთხმეტი) ლარისა;

დ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 496 086 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაექვსი) ლარისა;

ე) კასპის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 444 408 (ოთხას ორმოცდაოთხი ათას ოთხას რვა) ლარისა;

ვ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 234 (სამასი ათას ორას ოცდათოთხმეტი) ლარისა;

ზ) გორის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 234 (სამასი ათას ორას ოცდათოთხმეტი) ლარისა;

თ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 234 (სამასი ათას ორას ოცდათოთხმეტი) ლარისა;

ი) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 258 378 (ორას ორმოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარისა;

კ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 258 378 (ორას ორმოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარისა;

ლ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 258 378 (ორას ორმოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარისა;

მ) ქარელის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 258 378 (ორას ორმოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარისა;

ნ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

ო) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

პ) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

ჟ) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

რ) ახმეტის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

ს) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

ტ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

უ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

ფ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 237 708 (ორას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას რვა) ლარისა;

ქ) ასპინძის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 206 700 (ორას ექვსი ათას შვიდასი) ლარისა;

ღ) ხაშურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 206 700 (ორას ექვსი ათას შვიდასი) ლარისა;

ყ) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 206 700 (ორას ექვსი ათას შვიდასი) ლარისა;

შ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 206 700 (ორას ექვსი ათას შვიდასი) ლარისა;

ჩ) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 475 416 (ოთხას სამოცდათხუთმეტი ათას ოთხას თექვსმეტი) ლარისა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**